ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7349163

ნომერი: AR11072084

თარიღი : 28.12.2024

გაცემის თარიღი : 20.01.2025

გაცნობის თარიღი : 20.01.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 68ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 68ა , (ნაკვ. 10/34); ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 68ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- ქარხანა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ყაზბეგი 1881"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვიქტორ დვალი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008014346

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 7001.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1665.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 4993.9

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4789.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 204.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.5

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოებისნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოსკულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებულიადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსწარმომადგენელთაგანქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმადქ. დ. უზნაძის ქ. N68ა; დ. უზნაძის ქ. N68ა (ნაკვეთი N10/34)-ში არსებული შენობანაგებობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხი განიხილაქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსწარმომადგენელთაგანქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N1, 17.10.2024წ.), რომლის გადაწყვეტილებისსაფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი, რეკომენდაცია: წარმოდგენილი იქნეს სამომავლო ობიექტის ესკიზი არსებული სარდაფების შენარჩუნებით.

სამსახურმაგაითვალისწინა საბჭოს რეკომენდაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. პ. ნუცუბიძეს უარი უნდა ეთქვასმოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. პ. ნუცუბიძეს, ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N68ა; დ. უზნაძის ქ. N68ა (ნაკვეთი N10/34)-ში არსებული შენობანაგებობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.